ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5498679

ნომერი: AR1835304

თარიღი : 01.07.2021

გაცემის თარიღი : 12.07.2021

გაცნობის თარიღი : 13.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N2; კორპუსი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021

წლის 01 ივლისს №AR1835304 განცხადებით მომართა სოფიო ბერიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების და ღია ავტოსადგომების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა თ. ერისთავი, №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.093) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული (სექტორი №1; ბლოკი №2) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 17 მაისიდან 2021 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 2500.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2523.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 587.4 კვ.მ-ის ნაცვლად 585.8 კვ.მ., საერთო ფართობი 4241.8 კვ.მ-ის ნაცვლად 4273.9 კვ.მ. ამასთან, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობის (11 კვ.მ.) დამატება. გარდა ამისა, სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებით შეთანხმებულ პარკინგების გადანაწილების სქემაზე №2 ბლოკისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები (27 ავტოსადგომი), რომლის ფართობი (401 კვ.მ.) ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება. გარდა ამისა, 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებით შეთანხმებულ „პარკინგების გადანაწილების დაკორექტირებულ სქემა“-ზე დატანილ იქნა №2 ბლოკისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომების ფართობები (27 ავტოსადგომი). აღნიშნული 27 ღია ავტოსადგომიდან 5 ღია ავტოსადგომი (74.3 კვ.მ.) მდებარეობს №01.12.12.003.093 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 22 ღია ავტოსადგომი (326.7 კვ.მ.) - №01.12.12.003.094 საკადასტრო ერთეულზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებაში და:
1.1 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 2523.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 585.8 კვ.მ., საერთო ფართობად: 4273.9 კვ.მ., ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს დამხმარე ფართობი: 11.0 კვ.მ.
1.2 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: „№2 ბლოკისთვის დაფიქსირდეს 27 ღია ავტოსადგომი (ფართობი 401 კვ.მ.), რომლიდანაც №01.12.12.003.093 საკადასტრო ერთეულზე მდებარეობს 5 (ხუთი) ღია ავტოსადგომი 74.3 კვ.მ ფართობით, ხოლო, №01.12.12.003.094 საკადასტრო ერთეულზე - 22 ღია ავტოსადგომი 326.7 კვ.მ. ფართობით.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406258 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge